უფლის ფერისცვალების დღესასწაული წმინდა მიწაზე ლოცვით აღნიშნეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 19.08.2022. 2022 წლის 18 აგვისტოს, უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ფერისცვალების დღესასწაულის წინა დღეს, იერუსალიმში რუსეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელმა არქიმანდრიტმა ალექსანდრემ (ელისოვი) რსმ-ის სამღვდელოების თანამსახურებით იერუსალიმის სამების ტაძარში ღამისთევის მსახურება აღავლინა.

19 აგვისტოს, უფლის ფერისცვალების დღესასწაულზე, იერუსალიმის უნეტარესი პატრიარქი თეოფილე თაბორის მთაზე იერუსალიმის მართლმადიდებლურ მონასტერში საღმრთო ლიტურგიას წარუძღვა, – *იტყობინება რსმ-ის პრეს-სამსახური.*

მის უნეტარესობას თანამსახურება გაუწიეს კონსტანტინის მთავარეპისკოპოსმა არისტარქემ (იერუსალიმის საპატრიარქო), მაარდუსის ეპისკოპოსმა სერგიმ, არქიმანდრიტმა ალექსანდრემ (ელისოვი), რსს-ის ხაზინადარმა მღვდელმონაზონმა ათანასემ (ბუკინი), იორდანიაში უფლის ნათლისღების ადგილზე არსებული რსმ-ის წმ. იოანე წინამორბედის სახ. მეტოქიონის მეკლიტურის მოვალეობის შემსრულებელმა მღვდელმონაზონმა მათემ (კოზლოვი), წმინდა საფლავის საძმოს სამღვდელოებამ და მომლოცველ სასულიერო პირთა სიმრავლემ.

საღმრთო მსახურებაზე მგალობელთა გუნდმა იგალობა ბერძნულ და არაბულ ენებზე, ხოლო ბევრი ლოცვა, აგრეთვე წმინდა წერილი, წაკითხულ იქნა ასევე საეკლესიო-სლავურ და რუმინულ ენებზე.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ უნეტარესმა პატრიარქმა თეოფილემ სასულიერო პირებსა და ერისკაცებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა, რის შემდეგაც ახალი მოსავლის ყურძენი აკურთხა.

იერუსალიმის სამების ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგია აღასრულა რუსეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ მღვდელმონაზონმა დომეტიანემ (მარქარიანი). ლიტურგიის შემდეგ შედგა დღესასწაულის განდიდება და ახალი მოსავლის ნაყოფის კურთხევა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89540/